გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება № 33

2025 წლის 14 მარტი

გორი

გორის მუნიციპალიტეტში 2025 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტის მოწონების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 06 ივნისის N249 დადგენილების „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ მიხედვით, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის დაფინანსებით, გორის მუნიციპალიტეტის მიერ იგეგმება ინფრასტრუქტურული პროექტი, კერძოდ, სოფელ ერგნეთში, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან, გორის მუნიციპალიტეტში 2025 წელს დასაფინანსებელი პროექტი, თანდართული დანართი N1 (1 ფურცლად) შესაბამისად.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, ს.ჯორბენაძის ქ. #30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

საპროექტო წინადადება

N	საპროექტო წინადადების დასახელება	შენიშვნა
1	2	3
1	სოფელ ერგნეთში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	

გორის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელი ალიმონ გულუდანი